გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციასა ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სა[illegible]
[illegible] განცხადებისას: ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


## „ივერია“

გამოვა 1889 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1889 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5; ბ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში).

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

**ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


ქართული თეატრი

კვირას, 11 დეკემბერს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად

**ალიაქოთი**

კეთილშობილს ოჯახში.

კომედია 3 მოქმედებად.

II

**რევიზორი**

კომ. 5 მოქმედებად გოგოლისა; წარმოდგენილი იქნება 2 და 3 მოქმედება.

**მოთამაშენი:** ქ-ნნი საფაროვისა, მელიქოვისა, თამაროვისა, ჩერქეზიშვილისა; ბ. ნნი აბაშიძე, ყიფიანი, აწყურელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე


ტფილისი, 8 დეკემბერი

ერთი დიდი და ფრიად მძიმე ვალდებულება სახელმწიფოსი ის არის, რომ მზრუნველობა, მფარველობა და პატრონობა გაუწიოს იმას, რომელსაც ან ბუნებითად, ან მცირე წლოვანებით, ან უთაურობით მოვლა და პატრონობა თავის თავისა და თავის ქონებისა არ შეუძლიან. ამათ შორის ყველაზედ მეტად გულ-შესატკივარნი არიან მცირე-წლოვანი ობლები, რომელნიც იმ ასაკში არიან, რომ ვერას გზით ვერ გაუძღვებიან ვერც თავიანთს ზნეობითს საჭიროებას, ვერც ქონების მოვლასა და პატრონობას. ამათი უპატრონოდ დაგდება ორ ნაირს ვნებას უქადის სახელმწიფოს და საზოგადოებას. ჯერ ერთი იმას, რომ შესაძლოა კაცი კაცად ვერ დამთავრდეს და სასარგებლო კაცის მაგიერ გაიზარდოს ავი კაცი, უზნეო, უხეირო და ზოგჯერ ავაზაკიცა და ამით გაძლიერდეს ავ-ზნეთა კაცთა რაზმი, რომელსაც დღე და ღამ ებრძვის სახელმწიფო და საზოგადოება წესისა და მშვიდობიანობისათვის. მეორე იმას, რომ ცალკე სიმდიდრე ობლისა, რომელიც საზოგადო ერის სიმდიდრის ნაწილია, შესაძლოა გაიფლანგოს, გაქარწყლდეს უპატრონობით და ამ გზით ავალა მიეცეს ღარიბთა გამრავლებას, რომელთა შენახვა და გამოკვება ბოლოს სამძიმოდ უხდება სახელმწიფოსაცა და საზოგადოებასაც. ამას აღარ ვიტყვით, რომ ხშირად ეგ სიღარიბე სათავედ უხდება ათას ნაირს ავ-კაცობასა და წარამაროებას.

სახელმწიფოს ყველგან საჭიროდ დანახული აქვს და თავის ვალდებულებადაც ცნობილი პატრონობა მცირე-წლოვან ობლებისა და ამისათვის მთელი ნაწილია კანონებისა ამ საჭიროებაზედ გამოჭრილი და მიქცეული. ჩვენშიაც ეგრეა, მხოლოდ არ შეგვიძლიან არ ვაღიაროთ, რომ ამ ნაწილის კანონები ვერა სწვდებიან იმ კეთილს განზრახვას, იმ საქვეყნოდ სასარგებლო სურვილს, რომელიც ამ შემთხვევაში სახელმწიფოს წინ მიუძღვის. ეგ ნაწილი კანონებისა მთელს რუსეთში დაწუნებულია იმ მხრით, რომ კეთილს განზრახვას სახელმწიფოსას საკმაოდ ვერ ემსახურებაო. თუ ეს ასეა შიგნით რუსეთში, სადაც ამ კანონთა გამგებელი დაწესებულება, რაც უნდა იყოს, უფრო რიგსა და წესშია ჩაყენებული, მაშ რაღა უნდა ითქვას ჩვენში, სადაც არც ეგ რიგია და წესი თავის გზაზედ დაყენებული და სადაც ამ გვარებში თვით-ნებობა „აპეკუნებისა“ უფრო მეუფობს, ვიდრე წესი და კანონი. ჩვენში აპეკაში მიღება ობლისა და მისის ქონებისა მომასწავებელია ვაისა და ვაგლახისა და არა სიხარულისა, რომ ობოლს და მის ქონებას პატრონი აუჩინესო. აპეკუნი დაუნიშნესო და აბა სწორედ ეხლა დაიღუპა საწყალი ობოლიო! ამას იტყვიან ხოლმე მართლად გულ-შემატკივარნი კაცნი.

ამ სახით ეს მშვენიერი და გულშემატკივარი კანონები ობლების მოვლისა და პატრონობისა არამც თუ უქმად არიან ჩვენში, არამედ ხშირად და ძალიან ხშირადაც ვნება მოაქვთ იმათთვის, ვის სასარგებლოდაც დადგენილან. დღეს რუსეთში მთავრობა შესდგომია ამ კანონების შეკეთებას და ისეთის წესების შემოღებას, რომ „აპეკუნები“ მართლა მფარველად და პატრონად ექმნენ ობლებსა და არა მძარცველად და მყვლეფავ-მგლეჯავად. რაკი დღეს ეს საქმე შეცვლისა და შეკეთების გზაზედ სდგას რუსეთში მთავრობის თაოსნობით, ნუ თუ მეტი იქნება, რომ ჩვენც ჩვენის მხრით გვეზრუნა, მოგვეფიქრნა რამ ამ საქმის შესახებ, ერთი ჩვენის ქვეყნის საჭიროებაზედ გამოჭრილი პროექტი გამოგვერკვია და წარგვედგინა მთავრობისათვის ყურადღების მისაქცევლად. მთავრობაც დაგვიმადლებდა, თუ საკეთილოდ რასმე ვიტყოდით, და ქვეყანაც.

ამ საქმეს რომ თაოსნობა გაუწიონ ჩვენმა მარშლებმა, არა გვგონია მათ მიერ წარდგენილმა პროექტმა ყურადღება არ მიიქციოს მთავრობისა, მით უფრო, რომ ამ გვარებში ადგილის კაცია ყოველ გვარი რჩევა და აზრი მთავრობისათვის დიდად სასურველია. მარშლებს იმიტომ ვავალებთ ამას, რომ „აპეკის“ უწესოებით ისე არავინა ჰზარალობს, როგორც თავად-აზნაურობა, რომელსაც ცალკე თვისთა წევრთა ობლობის გამო და ცალკე სხვა-და-სხვა მიზეზთაგან უფრო ხშირადა ჰხვდება ხოლმე „აპეკის“ ხელში ჩავარდნა და თუ „აპეკის“ საქმეთა უხეირობისაგან ვნება ეძლევა ვისმე, თავად-აზნაურობას ყველაზედ მეტი.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ჩვენს პოეტს თავ. ვახტანგ ორბელიანს შეუკრებია და განზრახვა აქვს გამოსცეს ყველა თავისი ნაწერები.

*** ქუთაისიდგან გვწერენ: როგორც იყო, ჩვენც ველირსენით ქართულს წარმოდგენას. ქუთათურები, ჩვენდა სასიამოვნოდ, არც ერთს დროს გატარებას ისე ხალისიანად არ ეკიდებიან, როგორც თეატრს. ორი-სამი წელიწადია, რაც აქაური დასი წარმოდგენებს ჰმართავს და არც ერთხელ არ მომხდარა, რომ თეატრი ისე ცალიერი ყოფილიყოს, როგორც მაგალითად ტფილისის ქართული თეატრი. აქაურს დასს განზრახვა აქვს უფრო ხშირად წარმოადგინოს სხვა-და-სხვა ნათარგმნი ღირს-შესანიშნავი პიესები. პირველი წარმოდგენა წელს გამართა 6-სი ამ თთვისას. დასმა წარმოადგინა ფრანგულიდგან ნათარგმნი პიესა „გაცარცული ფოსტა“. თვით პიესას არა უშავს-რა, ყოველთვის შეუძლიან მიიზიდოს მაყურებლები, თუ-კი მოთამაშეებმა შესაფერად წარმოადგინეს. მართლადაც ასე იყო ამ საღამოს. უმთავრესი როლები რიგიანად შეასრულეს მოთამაშეებმა. უმთავრესს როლს თამაშობდა ბ-ნი კ. მესხი და ჩვეულებრივად კარგად შეასრულა.

ერთი ახალი მოთამაშე კიდევ შეიძინა ჩვენმა დასმა. ჩვენ ვამბობთ ბ-ნს ჯანოშვილზედ. ეტყობა ჯანოშვილს აქვს არტისტული ნიჭი. საზოგადოებასაც მოსწონს იმისი თამაში, ხოლო მისი ნაკლი ის არის, რომ სასცენო ხმა არა აქვს.

*** იქიდამვე: კარგა ხანია, რაც ქუთაისის გიმნაზიის მთავრობამ ერთი კარგი ჩვეულება შემოიღო: დრო-გა-

## ფელეტონი

### დავით ასლანიშვილი—ჯანდიერი

მოსისხლე შაჰ-აბაზისა.

III*)

ჩაუვიდა ყველა ეს ამბავი სპარსეთში შაჰ-აბაზს. ის, როგორც მრისხანე ვეშაპი, დაიძრა საშინელის სისწრაფით კახეთისაკენ მთელის თავისის ჯარებით. თეიმურაზმა კიდევ ვერ შეჰბედა აბაზს ბრძოლა და გავარდა იმერეთში.

ასლანიშვილი და ნოდარ ჯორჯაძეც იძულებულნი იყვნენ გასცლოდნენ საშინელს მრისხანებას და დიდძალს ჯარს შაჰისას!

ცხადია, როგორც შემდეგში ვნახავთ, რომ დავით ასლანიშვილი ანუ ჯანდიერი დარწმუნებული იყო, რომ შაჰ-აბაზი კიდევ ლმობიერად მოექცეოდა კახეთს, თორემ ის არ გაუშვებდა უპატრონოდ ქვეყანას, რომელიც ასე უყვარდა და რომლისთვისაც არა ჰზოგავდა თავს.

შაჰ-აბაზი შემოესია საშინელის მძვინვარებით კახეთს და დაუწყო მუსრვა უპატრონოდ გაშვებულს ხალხს. მთელს კახეთს ეკიდა ცეცხლი. მთელს კახეთს ებჯინა ყელში დანა. მთელი კახეთი გარბოდა გამფრთხალი ნადირივით თავისის ქვეყნიდამ და სწრაფობდა სადმე გადავარდნასა და გაცლას საშინელის მომდგარ უბედურებისაგან.

გაიმუსრა და დაცარიელდა კახეთი.

შაჰი გაძღა სისხლით. ის დარწმუნდა კახეთის ბოლოს მოღებაზედ და გავიდა კახეთიდამ გოგჩის ტბაზედ ოსმალების გზების შესაკრავად, რომლებისაც ეფიქრებოდა, რომ ქართველებს ვაი თუ მიეშველნენო.

გავიდა თუ არა შაჰი, მაშინვე ასლანიშვილი-ჯანდიერი ეცა კახეთს. იმან და იმასთან შირვანელმა დალიმელიქმა, რომელიც თავისის ხალხით იყო სპარსთაგან კახეთში გადმოსახლებული, გამოიხსნა სახიზნავებიდამ ხალხი და უწყო მოშენება კახეთს. ხალხი ჩამოგროვდა მთებიდამ. იწყეს სოფლებმა და ქალაქებმა შენება.

შაჰი დარწმუნდა, რომ ოსმალნი შორს იყვნენ და მალე ვერ მოეშველებოდნენ ქართველებს. იმან თითქმის მთელის თავისის ჯარით მოუბრუნა კახეთს თავისი სიძე ისა-ხან ყორჩიბაში და მისცა ბრძანება, რომ ვისაც იარაღის ხმარება შეუძლიან, მთლად გამუსროს; ვისაც არა, დაატყვევოს და გაისტუმროს სპარსეთში და ქონება მათი გაასწოროს დედამიწასთან.

ისა-ხან ყორჩიბაში სრულიად მოულოდნელად მოადგა და შემოერტყა კახეთს, მაგრამ ახლა კახეთი აღარ იყო უპატრონო. თავისი გმირი, თავისი სახელოვანი კაცი დავით ასლანიშვილი ჰყვანდათ თავისთან და იყო ამათი თავადი ანუ მოთავე.

თქმა არ უნდა, მრავალთ კიდევ მოასწრეს სპარსთა, გაავლეს მუსრი და დაატყვევეს. მაგრამ, რაკი ერთი მოვიდა გონს ასლანიშვილი, იმან საჩქაროდ შეაკვეცა ფრთები სპარსთა გამბედაობასა და წინანდელს ძალადობას.

აქ იჩინა ასლანიშვილმა უმაგალითო ძალა მტრის გაცლისა და მტრის ძალის ალაგმისა.

ასლანიშვილმა შეჰკრიბა საუკეთესო ვაჟკაცობა, ჩაუყენა სპარსთა ჯარებს კრიჭაში, შეუკრა ვიწროები და სიმაგრენი, თითონ გასცა ხალხზედ ბრძანება და დასძრა ხალხი თავისის ბარგ-ბარხანითა და ხაბაკით გასახიზნავად თუშ-ფშავ-ხევსურისა და დიდის კაპუჭის მთებისაკენ.

ათასობით და ათი-ათასობით ურემი, ცხენი, ჯორი, ვირი, საქონელი, ცხვარი, ქვეითი და ცხენოსანი ხალხი იძროდა მთის ხეობისაკენ და მიეშურებოდა მოქანცულ-მოწყვეტილი საშინელს ზამთრის სიცივესა და ტევრებში სულების გასწორებას მძვინვარე სპარსთა მახვილისაგან.

ცხენოსანი და ქვეითი სპარსელობა აწვებოდა და ესხმოდა ზარ-დაცემულს ქართველობას, მაგრამ საოცარი მხნე და გაუტეხარის სიმაგრის კაცი დავით თავისის ჯარებით უდგა სპარსთა კრიჭაში და არ უშვებდა, რომ დაეყრევინებინათ ამათთვის ამათი ცოლ-შვილი და ხაბაკი.

უმაგალითო იყო ეს მოძრაობა მთელის ხალხისა თავისის ხაბაკით და იარაღით მტრის კრიჭაში დგომა.

აგერ საშინელს მყინვარს და თოვლისაგან დაზვინულს მთის ხეობაში შევიდა დიდ-ძალი ქართველობა. აგერ მიატანეს სამშვიდობოს. ყინვა და თოვლი ჰხუთავს იმათ სულს, სიმშილი და უბინაობა ულევს სხეულს ძალას. მაგრამ იკრებენ უკანასკნელს ღონეს, რჩებიან სპარსთა მახვილს, აღარა ჰნახავენ თავისის ცოლ-შვილის სისხლს, უბედურებას, გაუპატიურებას, თავისს ტყვევნასა და ტყვეობის წამებას... და უცებ მთის წვერებიდამ მოჰკრეს თვალი, რომ უმთავრესი ძალა სპარსთა შემოდის საშინელის სისწრაფით ხეობაში, აგერ-აგერ მოსწვდებიან ამათ და ვეღარც ერთი ამათგანი ვეღარ გადარჩება მათს მახვილს, მათს მრისხანებას.

ამ ძალას მოუძღოდა თვით სპარს-

*) იხ. „ივერია“ № 258.

მოშვებით მოსწავლეების მშობლებს იწვევს ხოლმე და სხვა-და-სხვა საპედაგოგიო საგნებზე აქვსთ baasi. ამ ცოტა ხანშიაც იყო მშობლების ყრილობა გიმნაზიის დარბაზში; ამ ყრილობას baasi ჰქონდა მოსწავლეთა ხასიათის გარყვნასა და დაცემაზე. კრებამ სხვა-და-სხვა მიზეზი დაასახელა ამ სამწუხარო გარემოებისა. ხოლო თავ. თუმანიშვილმა თავ და თავ მიზეზად ის დაასახელა, რომ გიმნაზიაში სხვა-და-სხვა წოდების ბავშვები ერთად იზრდებიან და სწავლობენო. „რასაკვირველიაო, განაგრძო თ. თუმანიშვილმა: გიმნაზიაში, სადაც ამდენი დაბალის წოდების ყმაწვილები იზრდებიან, მაღალის წოდებისა და კარგის ოჯახის ყმაწვილები არ შეიძლება ხასიათით არ გაირყვნენო. იმედია, რომ გიმნაზიის მთავრობაც, და ჩვენი საზოგადოებაც ბ-ნს თუმანიშვილზე უფრო გულ-დასმით ჩაუკვირდებიან საქმეს და ნამდვილს მიზეზსაც იპოვნიან.

*** გორიდგან გვწერენ: „Новое Обозрѣніе“-ს მე-1710 №-ში დაბეჭდილია: გორში 27 ნოემბერს თავად-აზნაურობის წინამძღოლთან ბ-ნ ს—თან მისულა სოფ. დირბში მცხოვრებელი გლეხი გიგო ტერტეროვი და გამოუცხადებია: „ჩვენმა ბოქაულმა გამომიცხადა მე, რომ რადგანაც ის, ვისაც ერგო საჯაროდ გასვლა, აქ არ არის ამიტომ იმის მაგიერ შენი შვილი უნდა წავიდეს ჯარშიო. ბოლოს ვითომ მორიგებულან 90 მანეთად, აქედამ 50 მანეთი მაშინვე მიუცია და 40 მან. კიდევ მიჰპირებია მისაცემად და სხვა. დირბის ხსენებით ყველამ გავიგეთ ვისზედაც იყო ბრალდება. დამიფაროს ღმერთმა, რომ მე მქონდეს რამე საზიარო, ან საერთო ან ბ-ნ ბოქაულთან და ან ტერტეროვთან, მაგრამ სიმართლის აღსადგენად-კი ვიტყვი, რომ ეს საქმე ისე-კი არა ყოფილა, როგორც მოგვითხრობს ზემოდ მოხსენებული გაზეთი, არამედ ასე: ერთ გარეშე კაცს, მართალია, გამოურთმევია ხსენებულ გლეხისათვის არა 50 მანეთი, არამედ 60 მანეთი. ამ ფულის ამღებს უთქვამს გლეხისათვის: 10 მანეთი ჩემი გასამრჯელოა და 50 მანეთი-კი ბოქაულს უნდა მივსცეო. ხოლო როცა გლეხმა გაიგო, რომ ფულის დახარჯვა სრულიად არა ყოფილა საჭირო და იმისი შვილი უამისოდაც თავისუფალი ყოფილა, ამიტომ მოსთხოვა თავისი ფული იმ კაცს, რომელსაც თითონვე ჩააბარა. ფულის ამღებს ფულის უკან დაბრუნებაზედ უარი უთქვამს. აი ამ დროს ამ გლეხს გაუჩნდება კეთილის მყოფი, სულსა და ხორცზე ხელ-აღებული, და დაარიგებს: „თუ ასე და ასე იჩივლებ ბოქაულზედ, იმავე წამში დაგიბრუნებენ ფულსაო“. გლეხიც ასე მოქცეულა და ალალ-მართალს კაცს ტყუილ-უბრალოდ მოსცხეს ლაქა.

ბოქაულმა რა ქნას, ან სხვამ მაშინ, როდესაც ამ გვარ შემთხვევაში გლეხს ათასი მიწის მგელი თან დასდევს და ატყუილებს. ეს რომ სწორედ ასეა და ასე ატყუილებდნენ გლეხებს, მკითხველმა უკეთ იცის გაზეთიდგან, თუ დუშეთში რაც საქმე მოახდინა ერთმა კაცმა, რომელიც დღესაც შეპყრობილია იქაურისავე მომრიგებელ-შუამავლის განკარგულებით.

*** 6 დეკემბერს, 1-ს განყოფილებაში, მდ. მტკვრის ნაპირას, საარტილერიო მართველობის შენობის მახლობლად, ჯარის-კაცს ანტონ კოლოტინსკის უპოვნია და პოლიციის მეშვიდე განყოფილებაში წარუდგენია შავი ტრიკოს სერთუკი, შავი შარვალი და ჟილეტი.

*** 7 დეკემბერს მერვე განყოფილებაში უეცრად გარდაცვლილა საგარეჯოელი გლეხი ტფილისის მაზრისა მიხეილ მარტიროზოვი.

*** 6 დეკემბერს, შუაბაზარში, სიონის ტაძარს ახლო, უპოვნიათ წმ. ანნას ორდენი მეორე ხარისხისა და ვლადიმირის ორდენი. ამ ორდენების პატრონს სთხოვენ მივიდეს ტფილისის პოლიციაში და წარადგინოს საბუთი, რომ ეს ორდენები იმისი საკუთრებაა.

◆◆

## მიუტევებელი უმადურობა*)

სწორედ ამ ოც-და-ხუთის წლის წინად, სახელდობრ 1863 წელს, ოქტომბრის 23-ს, ტფილისის საქალაქო თეატრში დიდ-ძალის ხალხის თანადასწრებით წარმოდგენილ იქმნა გაბრიელ სუნდუკიანცის პირმშო ნაწარმოები „ღამის ერთი ცხვირი—ხეირია“.

სწორედ 25 წელიწადია, რაც პატივცემული ბ-ნი სუნდუკიანცი მთელს თავისს თავისუფალს დროს ანდომებს დრამატიულს მწერლობას, გვაძლევს რა სხვა-და-სხვა პიესებს, რომელნიც არიან უკეთესნი მშვენებანი რუსეთის სომხების თეატრისა.

სწორედ ოც-და-ხუთი წელიწადია, რაც იგი მარტო იმას არა სჯერდებოდა, რომ თეატრს აძლევდა რჩეულს პიესებს, არამედ სწვრთიდა აქტიორებს, რომელთათვის ყოველთვის ღია იყო იმისის სახლის კარი, და მზად იყო სტუმართ-მოყვარეობა გაეწია მათთვის. როგორც წევრი თეატრის კომიტეტისა, თავისის გამოცდილებითა და სათუთის გემოვნებით ყოველთვის დიდად ეწეოდა მათს ნაყოფიერს მოღვაწეობას.

სწორედ 25 წელიწადია, რაც ბ-ნი სუნდუკიანცი იცავს ტფილისის სომეხთა ტკბილსა და მდიდარს შტოს სომხურის ენისას.

სწორედ 25 წელიწადია, რომ 25 კაპიკი არ მიუღია თეატრისაგან და თუ ზოგთათვის თეატრი ყოფილა ასე თუ ისე სახსარი ნივთიერ საშუალების მოსაპოვებლად, ბ-ნს სუნდუკიანცს თეატრისაგან ხარჯის მეტი არა უნახავს-რა.

სწორედ 25 წელიწადია, რაც პეტერბურგიდამ მოკიდებული ყარაქლისამდე უმეტეს ნაწილად სომხურს სცენაზე თამაშობდნენ სუნდუკიანცის პიესებს საქველ-მოქმედო აზრით და ვინ იცის, რამდენს დამშეულს, ცეცხლისა და მიწის ძვრისაგან დაზიანებულს, რამდენს ღარიბს მოწაფეს, ღარიბს სტუდენტს მიუღია შემწეობა ამ წარმოდგენებიდგან.

ამ მრავალ წელთა განმავლობაში რამდენი უღვაწნია ბ-ნს სუნდუკიანცს სხვა-და-სხვა ასპარეზზედაც. გამოჩენილის ძველის დრამატიულის მწერლის ტერენციოსის «Homo sum et humani nihil a me alienum puto» — «კაცი ვარ და კაცური არა მეუცხოვების-რაო თავისს მცნებად აღიარა და სომეხთა საცნობელადაც ის გახადა. იგი მონაწილეობას იღებდა ჩვენს საეკკლესიო საქმეებში, ჩვენს სასწავლებელთა გამგეობასა და ჩვენს საქველ-მოქმედო დაწესებულებათა საქმეებშიაც. კავკასიის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების დაფუძნება პირველად აზრად მოუვიდა ბ-ნს სუნდუკიანცს; წესდებაც იმისი შედგენილია და, რაიცა უფრო ძნელია, საქმეც იმან განახორციელა. სახელმწიფო სამსახურში, შედარებით მაღალის ხარისხისა და მდგომარეობის მიღწევით და პატიოსანისა და ერთგულის სამსახურის აღსრულებით, ბევრის მსგავსად არ გაუწირავს თავისი პრინციპები, არამედ ყოველთვის დაუცავს დამოუკიდებლობა თავისის რწმენისა.

ბ-ნი სუნდუკიანცი ეწეოდა ჩვენსა და ქართველთა შორის ურთიერთობის წარმატებას*); იმისის პიესის „დაქცეული ოჯახის“ თარგმნამ გერმანულს ენაზე დაანახვა ევროპელებს, რომ ჩვენ ვიმყოფებით თვით-მცნობელობის გზაზედ.

რამდენად ეკლიანი იყო სუნდუკიანცის სალიტერატურო მოღვაწეობა, საკმაოა ვსთქვათ, რომ პირველ პიესას („ღამის ერთი ცხვირი—ხეირია“) დაუწყო მეტად უმარილოდ კიცხვა „მეღუ ჰაიასტანმა“, რომელიც ეხლანდელ „მშაკსავით“ არ თანაუგრძნობდა ახალ გამოჩენილს ძალას.

ყოველი საზოგადოება, რომელიც თავისს თავს პატივსა სცემს და მიუღწევია თვით-მცნობელობამდე, უნდა ჰგრძნობდეს შინაგანს მოთხოვნილებას გამოუცხადოს თავისი მადლობა ამ გვარს მოღვაწეს. მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ არ ისარგებლა სუნდუკიანცის ოც-და-ხუთის წლის სამწერლო მოღვაწეობის დასრულებით, რათა ღირსეულად და საჯაროდ გამოეთქვა თავისი პატივის-ცემა და გამოეცხადებინა თავისი გულწრფელი თანაგრძნობა იმ მოღვაწეობისადმი, რომლის ბადალი ასე ცოტა მოიპოვება ჩვენში. ეხლა ვიკითხოთ: განა ამ შემთხვევაში საზოგადოებაა დამნაშავე? დამნაშავეა მწერლობა, რომელსაც არ ესმის თავისი დანიშნულება, რომელიც ასრულებს თავისს მოვალეობას საზოგადოების წინაშე. მწერლობის მოვალეობა იყო წინადვე მოეგონებინა საზოგადოებისათვის სუნდუკიანცის იუბილეი. განა ბ-ნი სუნდუკიანცი უცხოა ჩვენის მწერლობისა, განა მას საპატიო ადგილი არ ეკუთვნის ჩვენს მწერლობაში?

„მშაკისა“ და „არძაგანკის“ საფელეტონო ნაწილში მას შესამჩნევი ადგილი ჰქონდა დაჭერილი ჰამალისა (მშაკში) და ჰაგიტის (არძაგანკში) სახელით და ამის სულ დაეწყებას გვიან მოგონება სჯობია. თუ დღეს დავივიწყეთ გამოგვეთქვა ბ-ნის სუნდუკიანცისადმი ჩვენი თანაგრძნობა 25 წლის მოღვაწეობის შესრულების გამო და ეს დღე არ ვიდღესასწაულეთ, დავეშუროთ და შევასწოროთ ჩვენი მიუტევებელი უმადურობა, სანამ როგორც წინადაც იღვწის და იღვაწებს სიცოცხლით სავსე ნიჭი. აი ამ დღეებში მან დასწერა რჩეული პიესა „მეუღლენი“. ვისარგებლოთ შემთხვევით, დავეშუროთ ჩვენის მადლიანის ნიჭის დრამატურგის ახალ ნაწარმოების დადგმა სცენაზე და მოვემზადნეთ, რომ ამ დღეს განვუცხადოთ მადლობა იმისს ავტორს; ვიდღესასწაულოთ ღირსეულად თეატრის სიბნელის განმანათლებელ ვარსკვლავის 25 წლის ბრწყინვალება**).

◆◆

## რა მეზობლობა აქვს საფრანგეთსა და გერმანიას?

(შემდეგი*)

1870 წლის ომმა ხიდი ჩასტეხა საფრანგეთსა და გერმანიას შორის, მაგრამ მეზობლობა-კი მაინც ვერ მოსპო. გერმანია არ ეშვებოდა საფრანგეთსა და მრავლად ჰგზავნიდა იქ ფულისა და სარჩოს შესაძენად ვაჭრებს, ხელოსნებს, ძიძებსა და ყველას, ვინც-კი ლუკმა-პურს ძნელად შოულობდა თავისს ღარიბსა და მწირს ქვეყანაში. გერმანია გამარჯვების შემდეგაც-კი უფრო ღარიბი იყო, ვიდრე დამარც-

---

*) ეს წერილი სომხურ გაზეთ „არძაგანკის“ მე-41 №-ში იყო დაბეჭდილი 23 ოქტომბერს და ეკუთვნის ბ-ნს აბგარ იოანესიანს.

*) უმთავრესი პიესები ბ-ნ სუნდუკიანცისა ნათარგმნია ქართულად და თამაშობენ: „პეპო“, „ხათაბალა“, „დაქცეული ოჯახი“ და კიდევ „ერთი მსხვერპლი“. „პეპო“ დაბეჭდილიც არის.

**) როგორც მოხსენებული იყო „ივერიაშიაც“, სომხთა დრამატიული საზოგადოება აპირებს სუნდუკიანცის დღესასწაულის გამართვას დეკემბრის 22-ს.

*) იხ. „ივერია“ № 256.

---

თა თავი მხედართ-მთავარი ისა-ხან ყორჩიბაში.

შეიქნა საშინელი ჟრიამული. ბავშვთა და დედაკაცთა გოდება წარმოადგენდა სწორედ მეორედ მოსვლის განწირულს საცოდაობის ხმას.

უცებ გაჩნდა მხსნელი კახელებისა.

— ვაჟკაცნო! — შესძახა დავითმა: — მომყევით მე და გიჩვენებთ მაგ ურჯულოების უნარს!..

საუკეთესო ვაჟკაცობა გადირჩა და გაჰყვა თან ასლანიშვილს. მოხუცებულნი და ვისაც იარაღის ხმარება არ შეეძლო, გაუმძღვარა წინ ხიზანსა და გაუშვა წინ. თითონ იარაღიანის ხალხით დადგა უკან და გაჰყო მთელი ეს ჯარი ორად. ნახევარი ჯარი ჩაასაფრა იქვე და ნახევარი ჯარი წაიყვანა კარგა შორს და ჩაასაფრა მეორედგან. ერთგანაცა და მეორედგანაც ჩასაფრულს ჯარს უბრძანა, რომ მანამ მე არ მოგცეთ ნიშანი, არ ეჩვენოთ სპარსთა და არ გაბედოთ იმათი ხელის ხლებაო.

ჯარები ჩასაფრდნენ საშინელს მთის ვიწროებში და ჩაიმალნენ.

მთაზედ მოდიოდა მარტო მთის ბილიკი, გადატკეცილი თოვლითა და ყინულით. კაცი და ცხენი ძლივს იკიდებდა ფეხს. მისს ქვესკნელში იყო უფსკრული, თვალ-ჩაუწვდომელი სიღრმე.

შემოდგა ამ მთაზედ და გამწკრივდა სპარსთა ჯარები, რომელნიც ეშურებოდნენ გაქცეულ ქართველობის მოწევას. აგერ ცოტა კიდევ და მთელი ქართველობა იყო ამათ ხელთ.

აქ უცებ მისცა დავითმა ნიშანი და შეიქმნა მუსრვა წაქეზებულ სპარსთა ჯარებისა. შეიქნა მუსრი უწყალო. რაც იხოცებოდა, იხოცებოდა ქართველობის ხელით, რაც-არა და, არეული და ზარ-დაცემული ქვეითობა თუ ცხენოსანი ცვიოდა მთის მაღლობიდამ უფსკრულში და ხდებოდა ყვავთა და ყორანთა საჭმელი. აქ მოჰკლეს სპარსთა სარდლები: ფეიქარხანის ძმა, რომელსაც ქართველებმა ჰკრეს თოფი გულში და იქვე გაანთხევინეს სული; ბეგთა-ბეგ უზბაში, ისპაანის მირ-თათაშ-მისბაში. ისეთი საშინელი მარცხი და მუსრი მიაყენეს სპარსთა უმთავრესს ძალას აქ ქართველობამ, რომ, სპარსთა მწერალთა სიტყვით, ამ მარცხით წახდა უმთავრესი ჯარი სპარსთაო.

თითონ ისა-ხან ყორჩიბაშმა ძლივს გამოასწრო იმ ჯარებით, რომელნიც ჯერ არ შესულიყვნენ ამ საშინელს მთის ვიწროებში...

ამითი გადაარჩინა ასლანიშვილმა უმთავრესი კახთა მოსახლენი გაწყვეტასა და ტყვევნას. როგორც აქ უმთავრესი კახთა ხიზანნი, ისე სხვა ხეობებში ნაწილ-ნაწილად გამხიზნველნი გადაარჩინა ასლანიშვილის გონიერულმა განკარგულებამ, რომელსაც დიდად ეხმარებოდა შირვანელი დალიმელიქი და ასლანიშვილზედ ნაკლებ აღარ ირჯებოდა ქართველებისათვის.

ამ გვარად, ვინც-კი გადარჩა აბაზის მახვილს დატყვევნას კახეთში, გადარჩა დავით ასლანიშვილი-ჯანდიერის თავ-განწირულებითა და გონიერულის წყობილებით.

### IV

გავიდა ხანი. კახელობა ბრუნდებოდა და ბინადრდებოდა ისევ თავისს ალაგას. შაჰ-აბაზისგან დაყენებული კახეთში მეფის მაგივრად ფეიქარ-ხანი, აბაზის საიდუმლო განკარგულებით, თითონაც სცდილობდა, რომ კახელობა გამოსულიყო სახიზრებიდამ, რათა ბოლოს ამათ ერთად თავ-მოყრილთათვის ერთბაშად ბოლო მოეღო. თუმცა მომეტებული ნაწილი გამფრთხალი და შეშინებული რჩეობდა ისევ გარეობას და აღარა ბრუნდებოდა კახეთში.

უცებ მოვიდა დიდ-ძალი ჯარი სპარსეთიდამ ქართლში შაჰის მრისხანე ბრძანებით, რომ კახეთი მთლად გაიმუსროს და ქართლი მთლად აიყაროს!..

იდგა რისხვა ცისა ქვეყნის თავს. საქართველოს აღარა ჰქონდა ხსნის გზა. უნდა მთელი საქართველო მოსპობილიყო პირისაგან ყოვლისა ქვეყნისა.

აქ უცებ შეიქმნა სააკაძისა და ასლანიშვილის შორის რაღაცა მოლაპარაკება. ასლანიშვილი ავნთო. ის ეცა მთას, შესძრა ბარი. ის რაღასაც მოძრაობდა საიდუმლოდ, რაღასაც მძიმეს ამზადებდა... მთელი კახელობა, გასახიზნ გზებ შეკრული, განწირულებით ელოდა თავისის განკითხვის დღეს, თავისს საშინელს დასასრულს. მაგრამ ყველა ჰხედავდა, რომ ამათი გმირი დავით რაღასაც მხნეობს, რაღასაც მოძრაობს, რაღასაც იმედობს და ამხნევებს ხალხს.

დადგა 25 მარტი, ხარება დღე 1623 წლისა.

უცებ იფეთქა მთელმა კახეთმა, გავარდა მართლაცა-და სახარებელი ხმა: ასლანიშვილმა შესძახა, რომ სააკაძე ჩვენსკენ არის, გამუსრა იმან ქართლში მდგომი მთლად სპარსელობა და ახლა ჩვენი რიგიაო!..

მთელი კახეთი უცებ ეცა იარაღს და უცებ სააკაძისა და კახელების ჯარი დაეცნენ ფეიქარ-ხანის ჯარებს, მარტყოფსა და კახეთში მდგომთ... შეიქმნა მუსრი სპარსელებისა...

ფეიქარ-ხანმა ძლივს გააღწია და გაასწრო მცირე ჯარით, რომელიც გადარჩა გაწყვეტას.

სააკაძე ეცა გაქცეულს ფეიქარ-ხანს და ასლანიშვილი თავისის კახელობით აქეთ-იქით ხეობებსა და ციხეებში დამგარ სპარსთა...

რამდენსამე დღეს მთლად ქართლ-

ხებული საფრანგეთი. ახლა საფრანგეთიც გონს მოვიდა და უფრო ყურადღებით დააცქერდა თავისს გამარჯვებულს მეზობელს. ან-კი როგორ შეეძლო, რომ ყურადღებით არ დაეწყო გერმანიის გაცნობა და შესწავლა? უცოდინარობა გერმანიისა საფრანგეთს მეტად ძვირად დაუჯდა წინადაც და ეხლა მაინც უნდა გაეხილა თვალები. ფრანგებმა დაიწყეს წერა გერმანიის შესახებ. გაზეთებმა და ჟურნალებმა აღარა დასტოვეს-რა, რომ არ აეწერათ ყოველივე, რაც გერმანიას შეეხებოდა. ქვეყანაც კითხულობდა ამ ნაწერებს, ისმენდა მოგზაურთა გაგონილსა და ნახულს გერმანიაში და გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს, ახალი ამბავი ხომ არა არის-რა ჩვენს მეზობლადაო, ესე იგი გერმანიაშიო.

ამ სახით ცხადია, რომ გერმანიას გავლენა ჰქონდა 1870 წლის შემდეგაც საფრანგეთში, ხოლო ეს გავლენა ისეთი აღარ იყო, როგორც წინად. წარმოიდგინეთ ორი მეზობელი, ერთმანეთის მტრად გადაკიდებული და მოჯიბრე. ერთი გააკეთებს რასმე, მეორეც სცდილობს უკან არ ჩამორჩეს. ერთი მხნეობს, მეორეც სცდილობს უმატოს მხნეობას. აი სწორედ ამ ორის მეზობლის საქმე დაემართათ საფრანგეთსა და გერმანიას. ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს გაფაციცებით უცქერიან და გაჯიბრებით სცდილობენ, რომ არაფერში არ ჩამოვრჩეთ მეზობელსაო. თუ კარგი აქვსთ რამე, ის კარგი ჩვენც შემოვიღოთ; თუ მავნებელი შევამჩნიოთ რამე, იმას მოვერიდოთო.

გერმანიის გამარჯვებამ დიდი მამულიშვილობა და პატრიოტობა დაჰბადა საფრანგეთში. ოდესმე ინგლისელების შემოსევამ გააცხოველა მამულიშვილობა ფრანგებისა და ახლა კიდევ გერმანელების გამარჯვებამ დაჰბადა იგივე ამბავი. ეს ყველამ იცის, რომ მამულიშვილობა მაშინ უფრო გაძლიერდება ხოლმე რომელსამე ქვეყანაში როცა უცხოელნი დაიწყებენ ბატონობასა და აკლებას. თვით გერმანიასაც ასე მოუვიდა 1813 წელს, როცა ნაპოლეონ ბონაპარტესაგან აკლებული გერმანია განიმსჭვალა მამულის-მოყვარეობით და დიდი მხნეობა გამოიჩინა დამდაბლებულისა და გასრესილის სამშობლოს აღსადგენად. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ამ 18 წლის წინად აღფრთოვანებული მამულიშვილობა საფრანგეთისა აღარ დასცხრა დღემდე და, თუ არა ძლიერდება, კლებით უფრო არა კლებულობს. ვინ მოიფიქრებდა, რომ საფრანგეთის ერი შეიძლებდა ასე ხანგრძლივ აჰყოლოდა ერთსა და იმავე გრძნობას. ამ შემთხვევაში თვით გერმანია ეხმარებოდა საფრანგეთს: არ უსვენებდა, უმართებულოდ ექცეოდა და ამ სახით უფრო აძლიერებდა საფრანგეთის მძულვარებას.

როცა საფრანგეთმა დაინახა, რომ გერმანია თავისს გამარჯვებას არა სჯერდება და ამცირებს ჩვენს დაძლეულს ქვეყანასაო, თავისს შვილებს ისე ჰზრდის, რომ ყმაწვილობიდამვე ჩვენს სიძულვილს ღრმად უნერგავს გულშიო, მაშინ-კი საფრანგეთმა ველარ მოითმინა.

მტრის სულ-მდაბლობამ, იმისმა უმართებულო ქცევამ უფრო გააბრაზა საფრანგეთი, რომელმაც ამის გამო ერთი-ორად უმატა მხნეობასა და დიდი ძალაც გამოიჩინა. ამას შემდეგ ყველა ფრანგმა საგნად თითქო ის გაიხადა, რომ დაუბრუნოს სამშობლოს მისი წინანდელი ძლიერება, ბრწყინვალება და დიდებაო. ყველამ საქმეს წაავლო ხელი და გულში ასე ჰფიქრობდა: გერმანია შემოგვყურებს და ფხიზლად უნდა ვიყოთო. ყველა ჰფიქრობდა, რომ მეომარი უნდა ვიყო, ბაირახტარი, და საფრანგეთის სახელისათვის ვსცდილობდეო. ასეთმა პატრიოტულმა გრძნობამ შეიპყრო ყველა და გააკეთილშობილა ქვეყანა. ისეთიც-კი, ვინც გულ-ცივად ექცეოდა ყველაფერსა და უდარდელის დაუდევრობით ატარებდა დროს, უცებ ალტაცებულ მამულიშვილად გადაიქცა; პოეტი და ხელოვანი, მაღალ ფარდებში ფრენას დაჩვეულნი, ჩამოვიდნენ ძირს და მამულიშვილობას შეუდგნენ; მრეწველი და მწარმოებელი ექიშპებიან უცხოელების საქონელს და ეფაფრებიან თავისის ქვეყნის ნაწარმოებს. დედაკაცები მამაკაცებს ეჯიბრებიან და უნდათ დაამტკიცონ, რომ ჩვენ უფრო გვიყვარს სამშობლოვო. ვაჭრები, ბურჟუები, სწავლულნი,—ყველანი ჰკიდებენ ერთმანეთს ხელს, ივიწყებენ თავიანთ შორის უთანხმოებას და ერთად აპირებენ მოქმედებას. ყველას უნდა შესძახოს მთელს ევროპას: „არა, არ მომკვდარხარ, არ მოკვდები, ჩვენო ძვირფასო საფრანგეთოვო!“

ამ სახით გერმანელების ყოყლოჩინობამ, ტრაბახმა და უმართებულობამ უფრო დაუახლოვა და ერთად შეაერთა ფრანგების ოჯახი.

დიდად იმოქმედა ამ გაძლიერებულმა მამულიშვილობამ საფრანგეთის მწერლობაზედ. ამ მწერლობამ კვლავ მოიგონა ძველნი გმირნი, რომელნიც იბრძოდნენ სამშობლოსა და თავისუფლებისათვის. არ არის თითქმის არც ერთი მაშინდელი ნაწერი, რომ შიგ არა ჰკრთოდეს ის საშინელი წელიწადი საფრანგეთის დამარცხებისა. პოეტები, რომანისტები და ჟურნალისტები, თითქო პირობა აქვსთ შეკრულიო, სწერენ საშინელს სცენებს გერმანელთა შესევისას საფრანგეთში. ამ დროინდელი საფრანგეთი ჩასჩიჩინებს შვილებს, რომ მტრის წინააღმდეგობა დიდი გმირობაა და ვაჟკაცობაო. თუ მტრის სიმრავლემ გვაჯობა, ვაჟკაცობით მაინც მტერს უკან არ ჩამოვრჩენილვართო.

ასეთმა ყოფამ ბევრი უკიდურესობა დაჰბადა საფრანგეთის მხრივაც, მაგრამ უამისობაც არ იქნებოდა. მამულიშვილობის მეორე პირი ანუ სარჩული ხშირად სხვის ძულება და მტრობაა. მტერმა თუ ვერ განკურნა საფრანგეთი თავ-ქარიანობისაგან, ის მაინც შესძლენა, რომ ასწავლა, როგორ უნდა სიძულვილი დამჩაგვრელისა.

საფრანგეთი დღეს სხვა არის, ვიდრე 1870 წლამდე იყო. დღეს მოუმზადებელს ველარ მოასწრობს ამ ქვეყანას მტერი, იმისი ახალი თაობა ისეა აღზრდილი, რომ ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი აზრი თავ დადებისა სამშობლოსათვის.

(შემდეგი იქნება)

## წვრილი ამბები

ამას წინად ლონდონში ჩვეულებრივი სადილი გაუმართავსთ—«სადილი ქურდებისა». ამ სადილზედ დასწრებიან ციხიდგან ყველა ახლად განთავისუფლებული ქურდები. სადილის გამმართველი სენ-ჟილის საზოგადოებაა. ეს საზოგადოება დაარსებულ იქმნა ამ 10—12 წლის წინად ერთის ციხიდგან გამოსულის ქურდის მიერ, გვარად ბენეტრიესი, და ეხლა დიდ-ძალი წევრები ჰყავს. ამ წელს სადილზე თავი მოუყრია 200 კაცს. დასწრებიან აგრეთვე ზოგიერთი სასპეტიო კაცები ქალაქისანი და ლორდ-მერი თავისის მეუღლეთურთ. პოლიცია სულ-განდევნილი ყოფილა იმ ქუჩიდგან. სადილს შემდეგ თავ-მოყრილ ქურდებისათვის ხელი მოუწერინებიათ იმ პირობაზედ, რომ ამიერიდგან სხას თავს დავანებებთ და მაგარს სასმელებს აღარ ვიხმარებთო. რაღა თქმა უნდა, ამ გვარს პირობაზე ხელს ყველა არ აწერს, მაგრამ ვინც აწერს, ისინი-კი პირიანად ასრულებენ თურმე. რადგან ინგლისელები სიტყვის წარმოუთქმელად არას აკეთებენ, ამიტომ ქურდების სადილზედაც სიტყვა წარმოუთქვამს ლორდ-მერს და სენ-ჟილის საზოგადოებისათვის ქება-დიდება შეუსხავს.

— «Courier des Etats Unis» სიტყვით, ნავარის საგრაფოში (ტეხასს) ვიღაც ქ-ნი გირში დაწოლილა და ექვსი ყმაწვილი ჰყოლია ერთად. ერთის გაზეთის კორრესპონდენტი მისულა ამ ქალთან ამ ამბის ჭეშმარიტად შესატყობლად და დიდ-ძალი ხალხი დახვედრია იქა. მამა იდგა თურმე იქვე და ყველას აჩვენებდა ამაყად თავისს შვილებს, რომელთაგანაც ოთხი ვაჟია და ორი ქალი. ეს გირშები შეძლებულნი ხალხნი არ არიან თურმე და აქამდე სამი შვილი ჰყოლიათ. ქ-ნი გირში, ეს ცხრა შვილის დედა, მალიან ჯან-საღად არის თურმე.

— ცნობილი ბარნუმი, რომელიც განცხადებებზე ყოველ წლივ ათას და ათი ათას თუმნობით ჰხარჯავს, აი რას ამბობს ამის შესახებ: „ზოგიერთნი ამბობენ, რომ განცხადებათა საშუალებით ვსცდილობდით ადგილი, ან სამუშაო რაიმე გვეშოვნა, მაგრამ სარგებლობა-კი არაფერი გვინახავსო. ორჯელ-სამჯერ გამოცხადება, რასაკვირველია, არა კმარა და არავითარსამე სარგებლობასაც არ მოიტანს, მაგრამ ასა ბევრჯელ გამოაცხადონ ხოლმე. გაზეთი ერთად-ერთი სახსარია საზოგადოებასთან მოსალაპარაკებლად. გლეხი კაცი ისვრის თესლს და ვიდრე სძინავს, იგი თესლი ამოდის და პური თავთავს იკეთებს. განცხადების საქმეც ასეა: თქვენ თქვენთვის არხეინა და სხედხართ სახლში და იგი-კი თქვენ მაგიერ ათასსა და ათი ათასს ელაპარაკება, იმ ათი ათასს, რომელთაც იქნება თქვენი არსებობა არც-კი სცოდნოდათ და ფიქრადაც არ მოსვლოდათ, განცხადებისათვის რომ არ მოეკრათ თვალი. ვაჭრებმა ჯერ კიდევ კარგად არ იციან გაზეთის განცხადებათა ფასი და ჯეროვნად არა სარგებლობენ ამ საქმითაო“.

## დღეში

7 დეკემბერი

**პარიჟი.** გუშინ რუსებისა და ფრანგების საერთო დღესასწაული იყო. ამ დღესასწაულზე დაესწრნენ რუსეთის ელჩი, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, დერულედი და სხვანი წარჩინებულნი კაცნი.

**დარმშტადტი.** პრინცის ალექსანდრე ჰესენის დასაფლავებაზე დაესწრნენ დიდი მთავრები პავლე და სერგეი ალექსანდრეს ძენი და უცხო პრინცები. დასაფლავებაზე გაგზავნილ იქმნა დეპუტაცია დრაგუნის ოც-და-მესამე პოლკისა.

**ვენა.** იმ კანონის ძალით, რომელიც საკუთრად სოციალისტებს შეეხება, გაუქმებულ იქმნა ნაფიცთა მსაჯულთა სამართალი თხუთმეტს სამოსამართლო ოლქში.

პეტერბურგის ბირჟა, 7 დეკემბ.

| | მყიდველნი ნა. | გამყიდველნი იყვნა. | გარიგებული იყვნა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 87 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 157 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 18 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 272 |
| —მეორისა . . . . . | 243½ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

---

კახეთი გადარჩა საშინელს განსაცდელს. კახეთი გადარჩა მთლად მოსპობას...

სააკაძემ შეაერთა ერთ სამეფოდ ქართლ-კახეთი და აახლა ასლანიშვილი საოსმალოში მყოფს მეფე თეიმურაზს, რომ მოსულიყო და მიეღო ორივე სამეფო.

ასლანიშვილმა გადმოიყვანა თეიმურაზ და სააკაძესთან ერთად უძღვნა თეიმურაზს აუარებელი სიმდიდრე და სამეფო სამკაული.

V

შაჰი არ ეშვებოდა საქართველოს უპირებდა უთუოდ ბოლოს მოღებას. ახლა ხომ უფრო მრისხანებდა ქართველებზედ.

ამ საშინელის მარცხის უკან, რაც ქართველებმა და კახელებმა მიაყენეს სპარსთა, შაჰი ხომ უფრო იყო აღელვებული. იმან დასძრა მთელი ირანის ჯარი და გამოგზავნა თავისის მრისხანე ბრძანების შესასრულებლად. ახლა ქართლიცა და კახეთიც უნდა მთლად გამუსრულიყო.

მაგრამ ახლა ადგა ქართველებს თავს სააკაძე და ასლანიშვილისთვის საშიში აღარ იყო, რომ თეიმურაზი კიდევ წანანდებურად დაანებებდა ქვეყანას თავსა და გაიქცეოდა.

მოვიდა სპარსთა ურიცხვი ჯარი და დადგა ალგეთზედ, ხრამსა და ალგეთს შუა.

სააკაძე იდგა ჯარებით კოჯორის მთაზედ.

ასლანიშვილი და ალათანგ ხერხეულიძე, როგორც გამოცდილნი კაცნი, დააყენა სააკაძემ მოწინავეთა სარდლებად და ამათვე მიანდო დარაჯობა სპარსთა ჯარებისა.

ასლანიშვილი და ხერხეულიძე არც დღე და არც ღამე არ ასვენებდნენ სპარსთა და თითქმის დღე არ გადიოდა, რომ სპარსთა თავები არ ეგზავნათ სააკაძისა და მეფე თეიმურაზისათვის.

ასლანიშვილი ისწრაფოდა სპარსთა ჯარებთან ბრძოლას. იმისი ამპარტავანი გული ვერ იტანდა, რომ ამდენი ხანი სპარსნი იდგნენ საქართველოში დაუსჯელად.

ყოველს შეტაკებაში, ყოველს ბრძოლაში ისა სძლევდა და ამარცხებდა სპარსთა, ის დარწმუნდა მათს უძლურებაზედ და თხოულობდა სასწრაფოდ სპარსთა ბანაკზედ მიხდომას.

— რა ჯარია!—უთვლიდნენ ესა და ხერხეულიძე სააკაძესა და მეფე თეიმურაზს:—განა ამათ შეუძლიანთ რამე... თუ არ მოხვალთ თქვენა, მარტო ჩვენ მივუხტებით და შევმუსრავთ... რა შეუძლიანთ ამათ ჩვენთან...

ქვეყნის სიყვარულითა და საკუთარის გმირულის გულით გატაცებული დავითი არა ჰხედავდა სპარსთა ნამდვილს ძალას. ის დარწმუნებული იყო, რომ ამისგან თუშ-დაღესტნის მთებში დამარცხებული ისა-ხან ყორჩიბაში კვლავ ადვილი მოსარევი იყო. მაგრამ სააკაძე ჰხედავდა, რაც ძალა და წყობილება ჰქონდათ სპარსთა, რაც სარდლები იყვნენ მოსულნი სპარსეთიდამ. სააკაძე იგვიანებდა. ისა სცდილობდა, რომ თითონ გამოეტყუებინა სპარსნი ბანაკიდამ.

მთავართა და დიდებულთ ჩამოართვეს სააკაძეს მთავარ-სარდლობა და მისცეს თეიმურაზ მეფეს გამგეობა მთელის ჯარებისა.

თეიმურაზი ჩაუხტა სპარსთა ალგეთზედ. დაიწყო ომი, ომი მარაბდისა, რომელიც ასე დაუვიწყარი დარჩა ქართველთა ხსოვნაში.

მხოლოდ აქ შენიშნა გმირმა დავითმა თავისი შეცდომა.

მივიდა თუ არა ქართველობა, სპარსთა მოსცეს იმოდენა თოფ-ზარბაზანი, რომ, მატიანეთა თქმით, კაცს ეგონებოდა ცა ინგრევაო. თოფის წამლის კომლისაგან მთლად დაბნელდა ჰაერი. ქართველები თვალთაგან ველარასა ჰხედავდნენ. სპარსთა ჯარი ჭიანჭველის გორასავით ელალებოდნენ ქართველობას. ქართველობა ჩავარდა საშინელს განსაცდელში. აღარც მკლავი, აღარც გული აღარა ვარგობდა სპარსთა სიმაგრისა, იარაღისა და სიმძლავრის წინ!

მაშინ დავითმა და იმასთან მისმა ამხანაგმა ალათანგ ხერხეულიძემ, რომელთაც თითო თვალი ჰქონდათ ომებში დათხრილი, გადასწყვიტეს ან სიკვდილი და ან გამოხსნა ქართველთ ჯარისა ამ განსაცდელისაგან. ისინი გაუძღვნენ ასლანიშვილის საგლდანელო ჯარს, ალათანგ საყორნისოს, ერთი დაჰკივლეს და გადასცვივდნენ ხმალ და ხმალ სპარსთა სანგლებსა და სიმაგრეებზედ.

საშინელი მუსრი და რისხვა შეიტანეს სპარსთა ჯარებში. ამათ გადაჰყვა სხვა ქართველობაც. მაგრამ ესენი გატაცებულნა თავისის გულითა და მკლავის ძლიერებით წავიდნენ მეტად წინ და მოემწყვდნენ შუა სპარსთა ჯარებში.

აქ ორივენი გახდნენ მსხვერპლნი მტრის მახვილისა, ისინი დაიხოცნენ გმირულად და აღარ მოესწრნენ იმ საშინელს მარცხსა და მუსრს, რაც დაემართა ამ დაუვიწყარს მარაბდის ომში ქართველობას.

ცხრა ათასი ქართველი შეიქმნა მსხვერპლი ამ ომისა...

ამ ვარად გმირულად გაატარა თავისი სიცოცხლე ქვეყნისათვის მოუღალავად თავ-განწირულმა დავით ჯანდიერ-ასლანიშვილმა და გმირულისავე სიკვდილით შესწირა ქვეყნის ბედნიერებას თავი.

ანტონ ფურცელაძე

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუჳჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჳ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

დეკემბერი 31 დღით არის.

**9 დღე პარასკევი.** მუცლად ღება წმ. ანნასი, ღვთის-მშობლის დედისა. კათოლ. წმ. ვალერიასი. სომეხ. მუცლად ღება წმ. ანნასი, ღვთის-მშობლის დედისა. მარხვაა. მაჰმად. მე-18 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 7—24, ჩადის 4—33. მთვარე 19 დღისაა.

**10 დღე შაბათი.** მოწ. მინასი, ჰერმოგენისა და ევგრაფისა. კათოლ. წმ. მელქისედექისა. მაჰმად. მე-19 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—გარდაიცვალა ივანე ანდრიას ძე კრილოვი, რუსეთის იგავ-არაკთა მთხზველი, 1844 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—34. მთვარე 20 დღისაა.

**11 დღე კვირა.** წმ. დანიელისა და ლუკასი. კათოლ. წმ. ვიქტორისა. სომეხ. წმ. იაკობისა. მაჰმად. მე-20 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—34. მთვარე 21 დღისაა.

**12 დღე ორშაბათი.** ეპ. სპირიდონისა და ალექსანდრესი. კათოლ. წმ. კონსტანტინესი. სომეხ. 1-ლი დღე წმ. იაკობის მარხვისა. მაჰმად. მე-21 დღე თთვისა რები-ულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0. ტფილისში მზე ამოდის 7—25. ჩადის 4—35. მთვარე 22 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

#### ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | $3\frac{1}{2}$ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | $3\frac{1}{2}$ | „ |
| ჯვარის მამის პურის ღვავში | | „ |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| მროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |

## მიმოსვლა რკინის გზისა

### ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| **ტფილისი** | — | — | 8 | 49 | ბათუმი | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი | 12 | 08 | 12 | 11 | ხამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** | 1 | 02 | 1 | 17 | **რიონი** | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი | 2 | — | 2 | 03 | **ყვირილა** | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი** | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა** | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი** | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი | 7 | 08 | 7 | 10 | გომი | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო | 8 | 05 | 8 | 07 | **გორი** | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა | 9 | 52 | 9 | 54 |
| **ბათუმი** | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

### ტფილისსა და სურამს შუა

| | დღისით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ტფილისი** | — | — | 3 | 21 | სურამი | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა | 4 | 19 | 4 | 25 | გომი | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| **გორი** | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი | 8 | — | — | 50 | **ტფილისი** | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

სოლომან მამულაშვილი,

**გამოცდილი მებაღე,**

ეძებს ადგილს. კარგად იცის მოვლა ვაზისა და ხეხილისა. უმსახურნია თავ. ივ. კონ. ბაგრატიონ-მუხრანსკისას და ამისი მოწმობაცა აქვს. ადრესი რედაქციაში. (3—3)

---

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე.

**მამული ვორონოვისა**

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად **სოხუმში** ივანე ვასილის ძეს **ენიუტინს.** (24—19)

---

გამოვიდა და ისყიდება

ახალი ქართული წიგნი

**მამიდა ასმათი**

მოთხრობა

გ. წერეთლისა.

გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

---

წერა-კითხვის გამავრცელებელ

საზოგადოების

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან | „ | 40 |
| გენათის მონასტერი, გამოც. აბაშიძისა | „ | 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა | „ | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ | 25 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ | 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ | 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ | 50 |
| მეფე სოლომონ ბრძენი, გამოცემა ღამბაშიძისა | „ | 5 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | „ | 35 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი | „ | 30 |
| ღოლცკანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| სივდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |

---

დაიბეჭდა და ისყიდება

გრ. ჩარკვიანის ქართულ წიგნის მაღაზიაში

1889 წ.

**ჯიბის ქართული კალენდარი.**

ფასი ორი აბაზი. (3—1)

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ.—კ. | | 6 თთვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | | 5 › | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 › | 4 „ 75 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | | 3 › | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | | 2 › | 2 „ 75 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | | 1 › | 1 „ 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩა, სახლი ბასტამოვისა, № 5.

---

## დედა-ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

**„საზოგადოების“ კანცელარიაში.**

ბუნების კარი **უცვლელად** არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი **შევსებული** და **შევსებულია** ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. **ფასი** უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს **ექვსი შაური** (30 კაპ.), ბუნების კარი—**თხუთმეტი შაური** (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად **ნაღდ ფულზე** იყიდის **ოც-და-ათ ცალს** დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა **ხუთ შაურად** (25 კაპ.); ვინც იყიდის **ათს** ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად** (70 კაპ.), ვინც **ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად** (65 კაპ.), ვინც **ასსა** და მეტსა,—**სამ აბაზად** (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ **სამი შაური** უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Доз. ценз. Тифлисъ 8-го Декабря 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე